პროექტი

საქართველოს კანონი

ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. საქართველოს კანონი „ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს სხვა კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

2. ეს კანონი განსაზღვრავს ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს, მათი მოვლა- პატრონობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის პირობებს, მათ მფლობელთა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას ცხოველების, როგორც ნერვული სისტემის მქონე მგრძნობიარე არსებების კეთილდღეობისა და დაცვის უზრუნველყოფის დარგში, ცხოველთა მიმართ ჰუმანური მოპყრობის მოთხოვნებს.

3. ამ კანონის მიზანია ცხოველების კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მათი დაცვა, აგრეთვე ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველების თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა და ამასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და მართვა, ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კომპანიონი ცხოველი - ცხოველი, რომლის სახეობასაც არ იყენებენ სამეურნეო ფერმერული დანიშნულებით, ასევე ნებისმიერი სახეობის ცხოველი რომელზედაც მისი მეპატრონე ანხორციელებს მოვლა-პატრონობას, არ იყენებს სამეურნეო ფერმერული დანიშნულებით და მისი ყოლა ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით;

ბ) ფერმერული ცხოველი - ცხოველი, რომელსაც იყენებენ ფერმერული დანიშნულებით და ამავდროულად ისტორიულად არ წარმოადგენს ადამიანის კომპანიონ ცხოველს;

გ) პატრონიანი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც ჰყავს მეპატრონე (ფიზიკური ან იურიდიული პირი), მოცემული მომენტისთვის იმყოფება ამ პირის, ან მის მიერ უფლებამოსილი პირის კონტროლქვეშ და/ან რეგისტრირებულია როგორც საკუთრება;

დ) ცხოველის მეპატრონე - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში ჰყავს ცხოველი და კანონმდებლობის დაცვით უზრუნველყოფს მის რეგისტრაციასა და იდენტიფიკაციას, მოვლა-პატრონობას, ვეტერინარულ მომსახურებასა და შენახვას;

ე) უპატრონო ცხოველი - ცხოველი, რომელსაც არ გააჩნია სახლი ან ცხოვრობს მფლობელის ან მეპატრონის მეთვალყურეობისა და მზრუნველობის ქვეშ. ასევე, ცხოველი რომელსაც ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ, კანონით განსაზღვრული ვადითა და პირობებით არ დაუდგინდა მეპატრონის ვინაობა;

ვ) მიკედლებული კომპანიონი ცხოველი – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ცხოველი, რომლის მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მიმკედლებელი;

ზ) უმეთვალყურეო კომპანიონი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ უდგინდება მეპატრონე ან მიმკედელებელი;

თ) კომპანიონი ცხოველის მიმკედლებელი – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი კომპანიონი ცხოველის მეთვალყურე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც უფლებამოსილ ორგანოში კომპანიონი ცხოველის რეგისტრაციის მომენტიდან აქვს აღებული ვალდებულება მიკედლებულ კომპანიონ ცხოველთან დაკავშირებით დაინტერესებული პირისათვის საჭირო ინფორმაციის გაცემაზე, კვება-დაწყურვების უზრუნველყოფაზე, უფლებამოსილი ორგანოს დახმარებით ან საკუთარი სურვილით სხვა დაწესებულებაში კომპანიონი ცხოველის ვეტერინარული მომსახურების განხორციელებაზე.

ი) ცხოველის მოვლა-პატრონობა – ცხოველისათვის აუცილებელი საარსებო ოპტიმალური პირობების შექმნა: ვეტერინარის და სპეციალისტის მიერ დადგენილი რაციონით მისი კვება და დაწყურვება, საცხოვრებელი ფართის გამოყოფა, გათბობა და განათება შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით, კომპანიონი ცხოველის შემთხვევაში რეგულარული გასეირნება, ვეტერინარული ზედამხედველობის უზრუნველყოფა და მომსახურება - დაავადებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, ცოფის და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაცია, ვეტერინარული მკურნალობა, ლაბორატორიული კვლევა და კომპანიონი ცხოველის აღზრდა სოციალიზაციის ვალდებულებით. ასევე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობების უზრუნველყოფა;

კ) ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობები - შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული ცხოველის მეპატრონის ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობა, ცხოველის პატრონის საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, ხანგრძლივი პერიოდით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება, ცხოველისგან პატრონის ხანგრძლივი პერიოდით იძულებითი მოცილება, პირის მიერ ცხოველის პატრონის სამკვიდროზე უარის თქმა;

ლ) ცხოველის მზრუნველი ან დროებითი შემფარებელი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს უსახლკარო და მიუსაფარ ცხოველ(ებ)ზე მუდმივ ან/და დროებით ზრუნვას;

მ) ცხოველის მეპატრონის დადგენის ან ახალი მეპატრონის მოძიების ქმედითი ღონისძიებები - იდენტიფიკატორის არსებობის შემთხვევაში - ცხოველის იდენტიფიცირება, ოპტიმალურ ვადებში კომპანიონი ცხოველის ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში, გაწეული ვეტერინარული მომსახურება, მონაცემები მეპატრონისა და კომპანიონი ცხოველის მოვლა-პატრონობის პირობების შესახებ და სხვა) განთავსების უზრუნველყოფა უფლებამოსილი ორგანოში, სოციალურ ქსელებში, სხვადასხვა შესაბამის ვებ-გვერდებსა და მედია საშუალებებში;

ნ) ვეტერინარული დაწესებულება - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს ვეტერინარულ საქმიანობას;

ო) კინოლოგიური დაწესებულება - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს კინოლოგიურ მომსახურებას;

პ) ფელინოლოგიური დაწესებულება - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ფელინოლოგიურ მომსახურებას;

ჟ) ცხოველის უმტკივნეულო მოკვდინება (ევთანაზია) - უფლებამოსილი პირის (ექიმი-ვეტერინარის) მიერ ცხოველისათვის სიცოცხლის შეწყვეტა, რაც თავისი

შინაარსით გულისხმობს ცხოველების ჰუმანურად, მყისიერად და უმტკივნეულოდ მოკვდინებას ვეტერინარული პრეპარატების მეშვეობით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;

რ) კომპანიონი ცხოველის რეგისტრაცია – ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართვის საფუძველზე, უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური ან სხვა დაწესებულების მიერ პატრონიანი ან მიკედლებული კომპანიონი ცხოველის რეგისტრაცია, ასევე ამ კანონით დადგენილი კომპანიონ ცხოველთა კლასიფიკაციის შესაბამისად სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა;

ს) კომპანიონი ცხოველის იდენტიფიცირება - კომპანიონი ცხოველების მარკირება უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულების ან კომპანიონ ცხოველთა თავშესაფრის მიერ საგანგებო ნიშნით: სვირინგის, სპეციალური საჭდის, მიკროჩიპის ან საყელურის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია კომპანიონი ცხოველის საიდენტიფიკაციო ნომერი და პატრონის მონაცემები, ასევე, ფრინველის დარგოლვა;

ტ) უფლებამოსილი ორგანო - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება კომპანიონ ცხოველთა მონიტორინგი და პოპულაციების მართვა-კონტროლის ორგანიზება, აღრიცხვა, დაკარგული კომპანიონი ცხოველების მოძიება და რომელიც თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

უ) საბელი - ცხოველის გადაადგილების კონტროლის საშუალება, რომელიც ზღუდავს პატრონისგან კომპანიონი ცხოველის დაცილების შესაძლებლობას;

ფ) ალიკაპი - მოწყობილობა, რომელიც ცხოველს უმაგრდება დრუნჩზე, ან თავზე და განკუთვნილია სხვა ცხოველებისა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ქ) გადამეტებული აგრესია - კომპანიონი ცხოველის იმგვარი ფსიქიური დისბალანსი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს სხვა ცხოველის ან/და ადამიანისთვის და შეუძლებელს ხდის მის შემდგომ ინტეგრაციას;

ღ) კომპანიონი ცხოველის მოკვლა - კომპანიონი ცხოველისათვის სიცოცხლის აღკვეთა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გარეშე;

ყ) კომპანიონ ცხოველთა გასეირნება - კომპანიონი ცხოველისათვის აუცილებელი ფიზიკური დატვირთვის მიზნით, კომპანიონი ცხოველის ყოფნა არასაცხოვრებელ ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში მეპატრონის ან თანმხლები პირის მეთვალყურეობით;

შ) ცხოველების დაცვა - ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ჩ) ცხოველებზე ზრუნვა - პირის საქმიანობა მიმართული ცხოველის კეთილდღეობის და დაცულობის უზრუნველყოფისაკენ;

ც) ცხოველის შემფარებელი - პირი, რომელიც საკუთრებაში ან დროებით საკუთრებაში ფლობს უძრავ ქონებას, სადაც შეიფარებს უსახლკარო და მიუსაფარ ცხოველ(ებ)ს მის(მათ) გამოჯანმრთელებამდე, ახალ მეპატრონეზე გასხვისებამდე/გაჩუქებამდე, ახალი შემფარებლისათვის გადაცემამდე ან სამუდამოდ;

ძ) ცხოველთა კომერციული მოშენება - კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, კომერციული მიზნით კომპანიონი ცხოველების რეპროდუქცია;

ჰ) ფუნქციური დანიშნულების ძაღლი - სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი, რომლის უნარ-ჩვევებიც გამოიყენება დაცვის, მოძიების, უსინათლოსათვის გაძღოლის, სანიტარული და დივერსიული ფაქტების აღმოსაფხვრელად, ასევე სამწყემსო დანიშნულების ძაღლი;

ხ) კომპანიონ ცხოველთა თავშესაფარი - არაკომერციული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიონ ცხოველთა პოპულაციის მართვას და სადაც ხორციელდება მიუსაფარი კომპანიონი ცხოველების მოვლა- პატრონობა ან/და ახალი მეპატრონის მოძიება;

ჯ) კომპანიონ ცხოველთა მინი/საოჯახო თავშესაფარი - ნებისმიერი დაწესებულება ან საცხოვრებელი სადაც გამოჯანმრთელებამდე დროებით არიან განთავსებული უმეთვალყურეო კომპანიონი ცხოველები, ტრავმირებული ან ისეთი კომპანიონი ცხოველები, რომლებიც ვეტერინარული სამსახურის მიერ კომპანიონ ცხოველთა გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით არიან მეთვალყურეობაში;

ჳ) ცხოველებზე დროებითი ზრუნვა - პირის საქმიანობა, რომელიც ცხოველის მესაკუთრის ან მზრუნველის ვინაობის დადგენამდე უზრუნველყოფს მიუსაფარ ან უსახლკარო კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობას და დაცვას;

ჳ[1]) უმეთვალყურეო ცხოველების იზოლირება - უმეთვალყურეო ცხოველების უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჰუმანური მეთოდით აყვანა და ცხოველთა დროებით თავშესაფარში კანონით დადგენილი წესით განთავსება;

ჳ[2]) კასტრაცია - ხვადი კომპანიონი ცხოველის გამრავლების უნარის შეწყვეტა;

ჳ[3]) სტერილიზაცია - ძუ კომპანიონი ცხოველისათვის გამრავლების უნარის შეწყვეტა;

ჳ[4]) დაჭერა, სტერილიზაცია, დაბრუნება, ანტირაბიული ვაქცინაცია - პროგრამა, რომლის თანახმადაც ხორციელდება ჰუმანური გზით კომპანიონი ცხოველთა პოპულაციის მართვა(ქირურგიული ან ქიმიური კონტრაცეფცია), ასევე ცოფის პრევენცია;

ჳ[5]) ცხოველის გასხვისება - ცხოველთა თავშესაფრის, სხვა ორგანიზაციის ან კერძო პირის მიერ კომპანიონი ცხოველის კანონით დადგენილი წესით გადაცემა პასუხისმგებელი კერძო პირისათვის;

ჳ[6]) ცხოველთა ორთაბრძოლა - ცხოველის შებრძოლება თავისივე ან სხვა სახეობის ცხოველთან, ან ადამიანთან, შეჯიბრების, დაკბენისა და ორთაბრძოლის მიზნით;

ჳ[7]) ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია - კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რომლის წესდებით გათვალისწინებულ საქმიანობის ფორმებსა და მიზნებს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში წარმოადგენს ცხოველთა დაცვა.

თავი II

ცხოველთა კეთილდღეობის ხელშეწყობა

მუხლი 3. ცხოველთა კეთილდღეობის ძირითადი პრინციპები

1. ყველა ცხოველს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა იარსებოს ბიოლოგიური წონასწორობის პირობებში.

2. დაუშვებელია ცხოველის მიტოვება ან მოკვლა;

3. მკვდარ ცხოველს არ უნდა მოეპყრან უკადრისად;

4. ცხოველის გამოყენების ნებისმიერი ფორმა და გამრავლების ნებისმიერი სახე უნდა პასუხობდეს სახეობისთვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ და ქცევით ნორმებს;

5. ნებისმიერი ქმედება ან გადაწყვეტილება, მიმართული ცხოველის რომელიმე სახეობის განადგურებისკენ არის დანაშაული მიმართული კონკრეტული სახეობის წინააღმდეგ პასუხისმგებლობის ზომა განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსით

მუხლი 4. ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა

1. ცხოველთა კეთილდღეობა მოიცავს მათთვის ფიზიოლოგიური და ეტიოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილებას, ორგანიზმის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. ამ კანონის მიზნებისათვის ცხოველისათვის აუცილებელი გონივრული საჭიროებები მოიცავს:

ა) სათანადო კვებასა და დაწყურვებას;

ბ) ცხოველისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნას; საძილე ადგილის გამოყოფა - მოწყობას, დათბუნებასა და განათებას საჭიროების შემთხვევაში;

გ) კომპანიონი ცხოველის გასეირნებასა და სათანადო ფიზიკური აქტივობით დატვირთვას;

დ) დროულ და სათანადო სამედიცინო - ვეტერინარული მომსახურეობას;

ე) ცხოველისთვის სათანადო სანიტარიულ - ჰიგიენური პირობების შექმნას;

ვ) კომპანიონი ცხოველისათვის აუცილებელი შესაბამისი საწვრთნელი საშუალებების ხელმისაწვდომობასა და მათ სოციალიზაციას;

3. დაუშვებელია დამახასიათებელი ჩვეული და ინსტიქტური ქცევის შეზღუდვა, ადამიანებთან და მისივე სახეობის ცხოველებთან ურთიერთობის შეზღუდვა, თუ ასეთი ქცევა საფრთხეს არ უქმნის გარშემომყოფებს.

მუხლი 5. ცხოველის მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი მოთხოვნები

1. ნებისმიერი პირი, ვინც უვლის ან პატრონობს ცხოველს, პასუხისმგებელია მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, უნდა განახორციელოს ყველა გონივრული ქმედება, რათა თავიდან აიცილოს ცხოველის გაქცევა ან დაკარგვა.

2. ცხოველის პატრონი ვალდებულია უზრუნველყოს მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ცხოველის შთამომავლობის მოვლა - პატრონობა, ან გასხვისება.

3. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად გაუშვას გასასეირნებლად ცხოველები თავის ნაკვეთში, თუ ტერიტორია უსაფრთხოდ იქნება შემოსაზღვრული და ცხოველები მოკლებულნი იქნებიან შესაძლებლობას ზიანი მიაყენონ ამ ტერიტორიის მიღმა მყოფი პირების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას.

4. დაუშვებელია ცხოველის მუდმივად დაბმულ მდგომარეობაში ყოლა და მოკლე საბელის ხანგრძლივად გამოყენება.

5. ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომისა და ცხოველის პატრონის მიმართვის შემთხვევაში, ცხოველის გადაყვანას ცხოველთა თავშესაფარში უზრუნველყოფს ცხოველის პატრონი ან უფლებამოსილი ორგანო, ხოლო ვეტერინარული სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ვეტერინარულ გამოკვლევასა და მკურნალობას. ამასთან, ცხოველთა თავშესაფარში ცხოველის ჩაბარებამდე, პატრონი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, კერძოდ გამოაქვეყნოს განცხადება, სოციალურ ქსელებში და განცხადებების პორტალებზე გაატაროს ცხოველისათვის ახალი მეპატრონის მოძიების მიზნით.

6. დაუშვებელია ცხოველის გაჩუქება/გასხვისება 18 წლამდე ასაკის პირზე, თუ არ არსებობს მშობლების ან პასუხისმგებელი პირის თანხმობა.

7. დაუშვებელია ცხოველის გადაცემა ჯილდოს, პრიზის ან პრემიის სახით.

8. დაუშვებელია კომპანიონი ცხოველის საკვებად გამოყენება ან/და მისგან პრეპარატებისა და ქიმიური საშუალებების დამზადება, ბეწვეულის, ტყავის ან სხვა რაიმე სახის პროდუქციის დამზადება.

9. კომპანიონი ცხოველის გვამი უნდა დაიმარხოს სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, ან მოხდეს მისი კრემაცია, ან მოთავსება ბიოთერმულ ორმოში.

10. ავტოსაგზაო შემთხვევისას გაუფრთხილებლობით დაშავებული ცხოველი, დამშავებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ გადაყვანილ უნდა იქნას უახლოეს ვეტერინარულ დაწესებულებაში, მას ეკისრება ვალდებულება მოახდინოს ცხოველის გამოჯანმრთელებისათვის საჭირო ვეტერინარული მომსახურების დაფინანსება და უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირებულობა, შემდგომი მზრუნველობის განხორციელების მიზნთ;

მუხლი 6. კომპანიონ ცხოველთა გასეირნება

1. ძაღლების გასეირნება ხალხმრავლობის ობიექტური შეფასების პირობებში საზოგადოებრივ ადგილებში (ქუჩები, სტადიონები, სკვერები, პარკები და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები), ნებადართულია მხოლოდ საბღლით ან ალიკაპით, ხოლო მის გარეშე გამსეირნებლის ზედახმედველობის ქვეშ 22:00-დან 08:00-მდე.

2. კომპანიონი ცხოველის მიერ საზოგადოებრივი სივრცის დაბინძურების შემთხვევაში, კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავება

3. აკრძალულია ცხოველების შეყვანა იმ სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებში, საავადმყოფოებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და დაწესებულებებში, სადაც არის შესაბამისი აკრძალვის ნიშანი, მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველის მისაბმელი ძელის დაცულ ფართზე განთავსება.

მუხლი 7. ცხოველთა ტრანსპორტირება

1. ცხოველთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ნებისმიერი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, თუკი უსაფრთხოების ყველა ზომა დაცულია.

2. ცხოველების ტრანსპორტირება სამოქალაქო ტრანსპორტით უნდა განხორციელდეს საბელით ან/და ალიკაპით ან კომპანიონ ცხოველთა გადასაყვანი კონტეინერით, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ზომის, ბუნების და მოგზაურობის გრაფიკის შესაბამისი მოცულობითა და პირობებით.

3. დაუშვებელია ცხოველის მოთავსება მანქანის საბარგულში ან მანქანის დახურულ სივრცეში, ამავე სივრცეში საჰაერო ცირკულაციის არ არსებობის პირობებში.

მუხლი 8. ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები

1. ცხოველის პატრონი ვალდებულია ყოველწლიურად უზრუნველყოს კომპანიონი ცხოველის ვეტერინარული შემოწმება, იმუნიზაცია (მათ შორის ანტირაბიული) და საჭირო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

2. კომპანიონი ცხოველის დაავადების შემთხვევაში, კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ვეტერინარულ დაწესებულებას და ჩაუტაროს შესაბამისი მკურნალობა

3. იხელმძღვანელოს ვეტერინარი ექიმის მითითებებით, რაც თავის მხრივ დაფუძნებული უნდა იყოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებზე,

მუხლი 9 . ცხოველთა ვეტერინარული მომსახურება

1. ცხოველებს ქირურგიული ოპერაციები, სამედიცინო მომსახურება ან სხვა სახის ვეტერინარული პროცედურები უტარდებათ მხოლოდ ვეტერინარი ექიმის მიერ, მხოლოდ გაუტკივარებით. აკრძალულია მიორელაქსანტის მტკივნეული პროცედურების ჩატარება.

2. აკრძალულია ჩვენებებისა და სხვა არასამკურნალო მიზნით ცხოველებისათვის ქირურგიული ოპერაციების ჩატარება, კერძოდ:

ა) კუდის მოჭრა;

ბ) ყურების დაჭრა;

გ) სმენის დაქვეითება;

დ) ნისკარტის, ბიბილოსა და ფრთების მოჭრა;

ე) კბილებისა და ეშვების ამოღება;

ვ) კლანჭების ოპერაციული ამოკვეთა;

ზ) ხმის იოგების გადაჭრა;

გამონაკლისია შემთხვევა, თუ ვეტერინარი გადაწყვეტს, რომ აუცილებელია მსგავსი ოპერაციის ჩატარება სამედიცინო მიზნებიდან გამომდინარე.

მუხლი 10. ცხოველთა დაცვა სასტიკი მოპყრობისაგან

1. დაუშვებელია ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობა და წამება, მსგავსი ქმედებების ნებისმიერი ხელშეწყობა, ცხოველისადმი ძალადობისკენ მოწოდება.

2. ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობად და წამებად ითვლება:

ა) ცხოველის ცემა გაწვრთნის მიზნით, ან ისეთი გაწვრთნის მეთოდის გამოყენება რომელიც ავნებს მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. განსაკუთრებით ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ეწინააღმდეგება მის ბუნებრივ თვისებებსა და თავისებურებებს, და მიაყენებს ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ტრავმას, ტკივილსა თუ ტანჯვას ასევე ისეთი ქმედება, რომლის შედეგადაც ცხოველს აიძულებენ გასცდნენ ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს და რომელიც გამოიწვევს ცხოველის მენტალურ ტანჯვას, ფიზიურ ტრავმას ან დასახიჩრებას;

ბ) ცხოველთა გაგდება და მიტოვება;

გ) ცხოველების გამოყენება სამიზნეებად;

დ) საჭიროების შემთხვევაში ცხოველისათვის ვეტერინარული დახმარების აღმოუჩენლობა;

ე) ცხოველებზე ანესთეზიის გარეშე ჩატარებული ნებისმიერი ქირურგიული ოპერაცია;

ვ) მეპატრონის მიერ ცხოველისადმი სასტიკი ქმედების შემთხვევაში, ასევე შესაბამისი მოვლა-პატრონობის პირობების დარღვევისათვის უფლებამოსილი ორგანოს ან/და ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე შესაბამისი სამართალდამცავი ორგანო ჩარევით ჩამოერთმევა ცხოველი მეპატრონეს და გადაეცემა თავშესაფარს, ამ შემთხვევაში მეპატრონეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ცხოველის უკან დაბრუნებით მიზნით

ზ) ვეტერინარული პროცედურები, რომელთა მიზანია ცხოველის გარეგნობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციების შეცვლა (ყურების, ყბის ძვლის, ბიბილოს, ნისკარტის, კუდის მოჭრა, ხმის სიმების, კლანჭების, ფრთების, ჩლიქებისა და ეშვების დამახინჯება ან მოცილება, ბუმბულის მოგლეჯა, სმენის დაქვეითება და სხვა), ასევე, ცხოველის სხეულის ნაწილის სტრუქტურის შეცვლა, იქნება ეს რბილი ქსოვილები თუ ძვლები; გამონაკლისს წარმოადგენს ცხოველის სტერილიზაცია და კასტრაცია ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ვეტერინარის გადაწყვეტილებით განხორციელებული ვეტერინარული პროცედურები;

თ) ცხოველის წვრთნის პროცესში მისი აგრესიისკენ მოწოდება და წახალისება მისივე სახეობის, თუ სხვა ცხოველის ან/და ადამიანების საწინააღმდეგოდ, გარდა სამსახურეობრივი წვრთნის შემთხვევებისა;

ი) ცხოველების ყოლა ისეთ პირობებში, რომლებიც არ შეესაბამება მათს სახეობას, ასაკს, ფიზიოლოგიურ და ბუნებრივ ქცევას;

კ) ცხოველების გამოყენება რეკლამებში, კინოგადაღებებში, ფოტოგრაფიაში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში, სადაც ცხოველებს ადგება ტკივილი, შიში, მწუხარება, ტანჯვა და თუ ასეთი ღონისძიებების დროს ცხოველს აიძულებენ გასცდნენ ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს, ან სადაც კომპანიონი ცხოველი შეიძლება დასახიჩრდეს ფიზიკურად ან მენტალურად;

ლ) ზოოფილური აქტები ცხოველებთან;

მ) ცხოველების გამოყენება სხვადასხვა სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის და ლაბორატორიული ცდების ჩატარება მათზე, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი - სამეცნიერო ქირურგიული ექსპერიმენტები დასაშვებია მხოლოდ ისეთი ცხოველის ლეშზე, რომელიც ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, ლაბორატორიული ცდების, კვლევების ჩატარება დასაშვებია ფიზიკური და ფსიქიკური ტკივილის მიყენების გარეშე;

ნ) სხვა ქმედებები, რომლებიც იწვევს ცხოველის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ტანჯვას.

თავი III

ცხოველთა მოშენება და გამოყენება.

მათი მოკვდინება (ევთანაზია)

მუხლი 11. ცხოველების მოშენება

1. ცხოველების მოშენება უნდა იყოს მიზნობრივი, გეგმაზომიერი და წინასწარ განსაზღვრული.

2. ყველა პირი, რომელიც ეწევა სელექციას ცხოველთა გამრავლების მიზნით, პასუხისმგებელია ცხოველისა და მისი ნაშიერის ანატომიურ, ფიზიოლოგიურ და კეთილდღეობის მახასიათებლებზე, რათა რისკის ქვეშ არ დააყენოს ნაყარის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

2. აკრძალულია ცხოველების გამრავლება შემდეგი დაავადებების დაფიქსირების შემთხვევაში: დისპლაზია, გენერალიზებული დემოდეკოზი, იდეოპათიური ეპილეფსია, კრიპტოხიზმი, ლეიშმანიოზი-გენეტურისნეულებების, თანდაყოლილი ხარვეზებისა და პათოლოგიების მქონე გენეტიკურად არასრულფასოვანი, ასევე პოპულაციური კონტროლის მიზნით აკრძალულია 2 წლამდე და 6 წელს ზემოთ და წელიწადში ერთზე მეტად კომპანიონი ცხოველების გამრავლება.

4. აკრძალულია სხვადასხვა სახეობის და სხვადასხვა ჯიშის ცხოველების შეჯვარება, ერთი სახეობისა და სხვადასხვა ჯიშის ცხოველების შეჯვარება დასაშვებია მხოლოდ სელექციურ წესებს დაქვემდებარებული ჯიშების შემთხვევაში.

5.ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან ცხოველების კომერციულ მოშენებას და მათ პერმანენტულ რეალიზაციას, სავალდებულოა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დარეგისტრირდნენ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირად.

მუხლი 12. ცხოველთა გამოყენება

1. დაუშვებელია ცხოველისთვის ნებისმიერი ქიმიური პრეპარატის მიღება, გარკვეული პროცედურის ჩატარება ან ხელსაწყოს გამოყენება, მისი ბუნებრივი შესაძლებლობების ამაღლების მიზნით.

2. დაუშვებელია ცხოველთა გამოყენება გართობის მიზნით.

3. უსაფრთხოების ზომების მიღების გარეშე დაუშვებელია ცხოველების მონაწილეობით საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიების ჩატარება სკოლამდელ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მიმდებარე ტერიტორიებზე.

4. დაუშვებელია ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის პროპაგანდა, დემონსტრაციების მოწყობა, აუდიოვიზუალური თუ სხვა სახის პროდუქციის გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობას.

მუხლი 13.კომპანიონ ცხოველთა ევთანაზია(ჰუმანური მოკვდინება), ფერმერული ცხოველის ჰუმანური მოკვდინება

1. ცხოველის ევთანაზია (ჰუმანური მეთოდებით) ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ცხოველს ვეტერინარის, ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლის და კინოლოგის/ფელინოლოგის/სახეობის შესაბამისი სხვა სპეციალისტის სავალდებულო მონაწილეობით შემდგარი კომისიის წევრები ერთხმად დაუდგენენ:

   ა) არაკორექტირებად აგრესიულ ქცევას, რომელიც არ იძლევა კომპანიონი ცხოველის თანაარსებობის საშუალებას ადამიანთან ან/და სხვა ცხოველებთან ურთიერთობის პირობებში;
   ბ)სიცოცხლესთან შეუთავსებელ ჯანმრთელობის მდგომარეობას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების დამდგენ კომისიაში წარმომადგენლის ყოლის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირს, რომლის წესდების თანახმად საქმიანობის ფორმებსა და მიზნებს წარმოადგენს ცხოველთა დაცვა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.
3. ცხოველთა თავშესაფარში ცხოველის ევთანაზია დაიშვება მხოლოდ ვეტერინარის მიერ, მის მიერ ხელმოწერილი აქტის საფუძველზე.
4. ცხოველის ევთანაზია ყველა შემთხვევაში უნდა ჩატარდეს მხოლოდ ვეტერინარის მიერ მყისიერ სათანადო ინექციის გზით, ცხოველისთვის ფიზიკური თუ მენტალური, ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენების გარეშე, საერთო ანესთეზიის გამოყენებით და ვეტერინარული პრეპარატებით.
5. დაუშვებელია ცხოველის ევთანაზია არავეტერინარის მიერ და შემდეგი მეთოდებით:
   ა)დახრჩობა;
   ბ)გაგუდვა;
   გ)მოწამვლა
   დ)ელექტრომუხტის გამოყენება;
   ე)სასიკვდილო მექანიკური დაზიანებების მიყენება;
   ზ)არაბუნებრივ გარემოში ფსიქოლოგიური ზემოქმედებით;
   თ)ცეცხლსასროლი იარაღით (გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა);
   ი)სხვა არაჰუმანური მეთოდებით.
6. ევთანაზიის პროცედურის დასრულების შემდეგ, ვეტერინარი უნდა დარწმუნდეს, რომ ცხოველი მკვდარია, მხოლოდ ამის შემდგომ არის დასაშვები შემდგომი პროცედურების ჩატარება (სპეციალურ ადგილებში დამარხვა, ბიოთერმულ ორმოში მოთავსება, კრემაცია ან პათანატომიური გამოკვლევა).
7. დაუშვებელია ჯანმრთელი და განკურნებადი ცხოველის ევთანაზია.

8. ფერმერული ცხოველის ტრანსპორტირება, მოპყრობა და სპეციალიზირებულ დაწესებულებაში მოკვდინება დასაშვებია მხოლოდ შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტების დაცვით: სურსათისა და აგრარულ საკითხთა ორგანიზაცია FAO, ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია OIE, მხოფლიო ცხოველთა დაცვა WAP, ცხოველებთან სასატიკი მოპყრობის პრევენციის სამეფო

ორგანიზაცია RSPCA, ფერმერული ცხოველის მოკვდინება დასაშვებია მხოლოდ სპეციალიზირებულ დაწესებულებაში.

თავი IV

უმეთვალყურეო, მიუსაფარი ცხოველები. უპატრონო კომპანიონი ცხოველების პოპულაციის მართვა და კონტროლი. ცხოველთა თავშესაფრები.

მუხლი 14. უმეთვალყურეო, უსახლკარო და მიუსაფარი ცხოველების იზოლირება

1. უმეთვალყურეო, უსახლკარო და მიუსაფარი კომპანიონი ცხოველების იზოლირება დასაშვებია მხოლოდ ჰუმანური მეთოდებით, მათთვის ფიზიკური და მენტალური ზიანის მიუყენებლად, ქარხნული წარმოების სპეციალური ლასოთი ან ბადით. დაუშვებელია რკინის მაშის გამოყენება. მეძუძური კომპანიონი ცხოველების იზოლირება დასაშვებია მხოლოდ ნაყართან ერთად. ცხოველთა იზოლირება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ პირების მიერ, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური ტრენინგი ცხოველთა დაცვის ორგანიზაციაში და გააჩნიათ შესაბამისი სერთიფიკატი.

2. კომპაანიონი ცხოველისაგან ადამიანებისა ან/და ცხოველებისათვის ფიზიკური რეალური საფრთხის შემთხვევაში და კომპანიონი ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის მიზნით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მოახდინოს კომპანიონი ცხოველების იზოლირება, კასტრაცია/სტერილიზაცია, ვაქცინაციის პროგრამა თუ სახეზეა:

ა) ადამიანისა ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელი და მომეტებული აგრესიის აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე კომპანიონი ცხოველები;

ბ) ადამიანის ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისათვის საფრთხის მატარებელი, განსაკუთრებულად საშიში დაავადებების აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე კომპანიონი ცხოველები;

გ) სავარაუდოდ დაკარგული ან უპატრონოდ/მეთვალყურეობის გარეშე მიტოვებული კომპანიონი ცხოველები, რომელთა გარეგანი მახასიათებლები ან/და იდენტიფიკაციის ვიზუალური ნიშნები ან/და ქცევითი თავისებურებები მიუთითებენ, რომ კომპანიონ ცხოველს შესაძლოა ჰყავს პატრონი;

3. უმეთვალყურეო, უსახლკარო და მიუსაფარი კომპანიონი ცხოველები დაჭერის შემდეგ ექვემდებარებიან საოჯახო/მინი თავშესაფარში ან ხანგრძლივი განთავსების თავშესაფარში მოთავსებას.

4. დაუშვებელია ავადმყოფი და დასახიჩრებული კომპანიონი ცხოველების საბოლოო განკურნებამდე მათი დაბრუნება დაჭერის ადგილზე, თუკი მათ არ ჰყავთ მეთვალყურე და მათი უსაფრთხოება არ არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 15. უპატრონო ძაღლებისა და კატების პოპულაციის მართვა და კონტროლი

1. ურბანულ გარემოში ბინადარი უპატრონო ძაღლებისა და კატების პოპულაციების მართვა და კონტროლი, მათზე ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება და ამ კანონით განსაზღვრული სხვა მიზნების უზრუნველყოფა უფლებამოსილი ორგანოს საქმიანობის სფეროს, ასევე საკუთარი ინიციატივით -ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებისა და კერძო თავშესაფრების სფეროს განეკუთვნება.

2. უსახლკარო ძაღლებისა და კატების პოპულაციის მართვის ძირითადი და პრიორიტეტული მეთოდია კომპანიონი ცხოველების შობადობის შემცირების უზრუნველყოფა სტერილიზაცია/კასტრაციის ან უსაფრთხო ქიმიური საშუალებებით კონტრაცეფციის გზით.

3. ძაღლებისა და კატების პოპულაციის მართვა-კონტროლის ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია თანმიმდევრობით მოახდინოს:

ა) უსახლკარო ძაღლებისა და კატების ჰუმანური მეთოდებით დაჭერა და იზოლაცია;

ბ) უსახლკარო ძაღლებისა და კატების ჯანმრთელობის მდგომარეობის (კლინიკური და ლაბორატორიული კვლევით) და ქცევითი თავისებურებების (დაკვირვების შესაბამის პირობებში და სპეციალური მეთოდიკით) დადგენა;

გ) ჯანმრთელი ძაღლებისა და კატების სტერილიზაცია/კასტრაცია, იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული მომენტისთვის ძაღლი/კატა არ არის ჯანმრთელი - გამოჯანმრთელების შემდგომ უნდა მოხდეს სტერილიზაცია/კასტრაცია, ასევე კორექტირებადი აგრესიული ძაღლების სტერილიზაცია/კასტრაცია, აგრეთვე იმ გარემოების გათვალისწინებით რომ ხვადი ძაღლების აგრესიული ფსიქიკის კორექტირება მიიღწევა კასტრაციის შემდგომ;

დ) კომპანიონი ცხოველების პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;

ე) კომპანიონი ცხოველების ანტირაბიული ვაქცინაცია;

ვ) კომპანიონი ცხოველების მიკედლება, ან ბინადრობის პირვანდელ გარემოში დაბრუნება;

ზ) კომპანიონი ცხოველების გაჩუქებისთვის საჭირო ყველა რეკომენდირებული ღონისძიების გატარების რომელიც გაიწევა ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების მიერ.

4. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს რომელსაც რეკომენდაციას უწევს ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია, ვეტერინარული დაწესებულება ან კინოლოგიური დაწესებულება გააჩნია უფლებამოსილება აიყვანოს თავშესაფრიდან აგრესიული ფსიქიკის მქონე ძაღლი, აგრესიის კორექციისა და მოვლა-პატრონობის მიზნით;
5. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს გააჩნია უფლებამოსილება აიყვანოს თავშესაფრიდან დაავადებული ცხოველი შემდგომი ვეტერინარული მომსახურების გაწევისა და მოვლა-პატრონობის მიზნით, შესაბამისი ხელმოწერილი აქტის საფუძველზე;

6. დაუშვებელია ცხოველის დაბრუნება გზასთან ახლოს და დაუსახლებელ ადგილებში, ასევე იმ ადგილას საიდანაც არ მომხდარა მისი იზოლირება.

მუხლი 16. კომპანიონი ცხოველის მიმკედლებელი

1. კომპანიონი ცხოველის მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) თვალყური ადევნოს მიკედლებული ცხოველის მდგომარეობას, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების საჭიროების შესახებ;

ბ) სამიდან ხუთ დღემდე ვადით ცხოველის გაუჩინარების შემთხვევაში მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება არაუგვიანეს მეხუთე დღისა;

გ) უფლებამოსილი ორგანოს ან ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის დაინტერესების შემთხვევაში გასცეს ინფორმაცია მიკედლებული ცხოველის მდგომარეობაზე;

დ) მიკედლებული ცხოველის მეთვალყურეობაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება და კონკრეტულ ცხოველზე მიმკედებლის სტატუსის მოხსნამდე განაგრძოს მიკედლებული ცხოველის მეთვალყურეობა;

ე) შესაძლებელია კომპანიონ ცხოველს ჰყავდეს ერთზე მეტი მიმკედლებელი;

2. კომპანიონი ცხოველის მიმკედლებელი უფლებამოსილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიკედლებული ცხოველისთვის საჭირო ვეტერინარული მომსახურების ან/და ტრანსპორტირების მომსახურება მიიღოს უსასყიდლოდ.

3. უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მიკედლებული ცხოველის ტრანსპორტირება ან და გადაყვანა მოახდინოს მიმკედლებლის თანხმობით.

მუხლი 17. ცხოველთა თავშესაფრები

1. კომპანიონი ცხოველების დროებითი და ხანგრძლივი განთავსების თავშესაფრები იქმნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის ან არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ რომლის წესდებით მის მიზანს წარმოადგენს ცხოველთა დაცვა, ასევე, მებისმიერი იურიდიული პირის მიერ ქველმოქმედების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

2. თავშესაფარში კომპანიონი ცხოველის გადაყვანისთანავე, ის უნდა განთავსდეს კარანტინში, გაისინჯოს ვეტერინარის მიერ, დაკვირვებიდან სამი დღის განმავლობაში უნდა ჩაუტარდეს დეჰელმინთიზაცია და ექვსი დღის გასვლისას - ვაქცინაცია. თავშესაფარში ცხოველის დაყოვნების ვადა შეადგენს მინიმუმ 10 დღეს.

3. დროებითი და ხანგრძლივი განთავსების თავშესაფარებში უმეთვალყურეო, უსახლკარო და მიუსაფარი კომპანიონი ცხოველების მოთავსების შემდეგ ხდება მათი იდენტიფიკაცია. დგინდება კომპანიონი ცხოველის მესაკუთრე ფიზიკური ან იურიდიული პირის ვინაობა და მათ კომპანიონი ცხოველი უბრუნდებათ შენახვის ხარჯების ანაზღაურებით.

4. თუ კომპანიონი ცხოველის სტერილიზაციის/კასტრაციის, იდენტიფიკაციის, ვაქცინაციის და სარეაბილიტაციო პერიოდის გასვლის შემდგომ დადგენილი ვერ იქნა უმეთვალყურეო, უსახლკარო და მიუსაფარი კომპანიონი ცხოველის პატრონი, ან კომპანიონი ცხოველის პატრონი შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების გამო უარს აცხადებს კომპანიონი ცხოველის მიღებაზე, კომპანიონი ცხოველი დაუყოვნებლივ უნდა დაექვემდებაროს გაჩუქებას ან უნდა მოხდეს მისი დაბრუნება პირვანდელი ბინადრობის არეალში. ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფარი კომპანიონ ცხოველზე თავშესაფარში ყოფნის (დაკვირვების, სტერილიზაცია/კასტრაციის, პოსტოპერაციულ) პერიოდში უნდა ანხორციელებდეს აუცილებელ, გადაუდებელ ვეტერინარულ-სამკურნალო ღონისძიებებს, გადაუდებელ ქირურგიულ ოპერაციებს.

5. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფარში აღინიშნება ცხოველისთვისა და ადამინისთვის საშიში დაავდების გავრცელების საფრთხე, თავშესაფარი ვალდებულია ითანამშრომლოს შესაბამის რაიონულ სანიტარულ - ჰიგიენურ ორგანოებთან და ჩაატარის დეზინფექციის ღონისძიება, დაავადების აღმოფხვრამდე თავშესაფარში ცხადდება კარანტინი და ტადრება საკარანტინე ღონისძიებები.

6. თუკი თავშესაფრიდან გამოსულ კომპანიონ ცხოველს საკარანტინე პერიოდის განმავლობაში გამოუვლინდება ინფექციური დაავადება, თავშესაფარი ვალდებულია, უზრუნველყოს კომპანიონი ცხოველის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება ან განმეორებითი მკურნალობა.

7. ნებისმიერი პირი ნებისმიერ დროს უფლებამოსილია დაათვალიეროს თავშესაფარი და თავისუფლად მოახდინოს ფოტო/ვიდეო გადაღება, მიიღოს ინფორმაცია განთავსებულ ცხოველებთან დაკავშირებით - შეუზღუდავი ვადით და პერიოდით.

8. დაუშვებელია თავშესაფარში ცხოველების გამრავლება და გაყიდვა.

მუხლი 18. კომპანიონ ცხოველთა თავშესაფრების მოწყობის სტანდარტები

1. კომპანიონ ცხოველთა დროებითი და ხანგრძლივი განთავსების თავშესაფარს უნდა გააჩნდეს კომპანიონი ცხოველების:

ა) ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს ბეწვის, ნაცხის, ფეკალიისა და სისხლის კვლევას, ან ლაბორატორიული კვლევის უზრუნველყოფის ქმედითი შესაძლებლობა ან ჰქონდეს დადებული ხელშეკრულება ვეტერინარული დაწესებულებასთან, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროცედურებს.

ბ) ვეტერინარული სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფრის დანიშნულებით განსაზღვრული აუცილებელი ვეტერინარული მანიპულაციების ჩატარებას, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია ითანამშრომლოს ვეტერინარულ დაწესებულებასთან;

გ) საკარანტინო სივრცე (ვოლიერები), რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფარში ახლადშემოყვანილ ცხოველის იზოლაციას სხვა ცხოველებისგან, ლაბორატორიული კვლევის შედეგად ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენამდე, ან დაავადებული ცხოველის განკურნებამდე, თავშესაფრიდან გაყვანამდე, მოკვდინებამდე (ევთანაზიამდე);

დ) განთავსების ვოლიერები;

ე) გასეირნების უზრუნველყოფისათვის საკმარისი სივრცე;

ვ) „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებში მოყვანილ სივრცეებში ადამიანები უნდა გადაადგილდებოდნენ სპეციალური სამედიცინო ხალათებითა და ბახილებით, საჭიროების შემთხვევაში ქუდებითა და ნიღბებით.

2. ცხოველთა დროებითი და ხანგრძლივი განთავსების თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) უზრუნველყოფილი იყოს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმებით;

ბ) უზრუნველყოფილი იყოს ცხოველთა ყოფა-ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური პირობებით - სათანადო კვება, დაწყურვება, სისუფთავე, დათბუნება, განათება;

გ) ძაღლის განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს ცხოველს გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების შესაძლებლობას. ვოლიერის ფართი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 9 კვადრატულ მეტრს, სიმაღლე - მინიმუმ 150 სანტიმეტრს, თითო ვოლიერში შესაძლებელია 3 ძაღლის განთავსება, რომლებიც არ არიან ერთმანეთის მიმართ აგრესიულები კვების დროს, კვების პროცესის დაკვირვება განეკუთვნება კინოლოგის კომპეტენციას;

დ) კატების განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს ცხოველს მინიმალური გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების შესაძლებლობას, პოსტოპერაციული პერიოდის გასვლის შემდგომ უნდა მოხდეს მისი დაბრუნება აყვანის ადგილას ან გაჩუქებამდე გადაყვანა ვოლიერიდან კატებიდათვის სპეციალურად მოწყობილ ოთახში;

ე) ცხოველის ვოლიერი არ უნდა იყოს ოთხმხრივად დახურული და ცხოველს არ უნდა ეზღუდებოდეს თავისუფალი სივრცის ხედვის შესაძლებლობა, ასევე მზიან ამინდში ნებისმიერ დროს ვოლიერს უნდა გააჩნდეს საჩრდილობელი. ხოლო წვიმის, თოვლისა და სეტყვის შემთხვევაში ვოლიერში არ უნდა აღწევდეს ბუნებრივი ნარჩენი .

3. ცხოველთა თავშესაფარში უნდა იყოს დაცული უსაფრთხოების ნორმები, სანიტარიულ ჰიგიენური ნორმები, უნდა იქნეს დაპროექტებული და მოწყობილი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საოჯახო/მინი თავშესაფრები უნდა ხელმძღვანელობდეს ვეტერინარი ექიმის რეკომენდაციებით, როგორც ცხოველთა თავშესაფარი ასევე საოჯახო/მინი თავშესაფარი ცხოველთა საცხოვრებელი პირობების გადამოწმებისა და თავშესაფრის ფუნქციონირების გაცნობის მიზნით ექვემდებარება შემოწმებას ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ვადით უფლებამოსილი ორგანოს ან ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის მიერ, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, მათ შორის - დაუყოვნებლივ.

4. ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია აწარმოოს ცხოველთა აღრიცხვა და უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოში უსასყიდლოდ, ყოველთვიურად ან დაუყოვნებლივ მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე დაინტერესებული ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის

მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს თავშესაფარში მყოფ ცხოველთა ბრუნვის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების წარდგენა მისთვის სასურველი ფორმით.

6. კომპანიონ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია უზრუნველყოს უკლებლივ ყველა კომპანიონი ცხოველის სტერილიზაცია, თუკი ამ კომპანიონ ცხოველს არ გამოუჩნდა პირვანდელი მეპატრონე დადგენილ ვადაში.

თავი V

კომპანიონ ცხოველთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია

მუხლი 19. კომპანიონ ცხოველთა იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სავალდებულო მოთხოვნები

1. კომპანიონი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო პირველად რეგისტრაციას, იდენტიფიკაციას, გარდაცვალებისას კი - რეგისტრაციიდან მოხსნას. აღნიშნულ პროცედურებს უფლებამოსილი ორგანო ანხორციელებს ადგილზე მისვლით უსასყიდლოდ.

2. ცხოველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის მომსახურება უფლებამოსილი ორგანოს მიერ ხორციელდება უსასყიდლოდ.

3. კომპანიონი ცხოველის მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია უფლებამოსილ ორგანოს მიაწოდოს კომპანიონ ცხოველთა აღრიცხვასა და იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

4. კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია კომპანიონი ცხოველის რეგისტრაციის მომენტისთვის, ან რეგისტრაციის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს კომპანიონი ცხოველის იდენტიფიკაცია სვირინგით, მიკროჩიპირებით, სპეციალური საჭდით ან საყელურით, ხოლო ფრინველის შემთხვევაში კი დარგოლვით.

5. კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია უზრუნველყოს კომპანიონი ცხოველების რეგისტრაციის განმახორციელებელი დაწესებულების ინფორმირება, საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული კომპანიონი ცხოველის შთამომავლობის და მისი გასხვისების თითოეული ფაქტის შესახებ, ასეთი ფაქტების დადგომიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 20. ცხოველთა ერთიანი რეესტრი

1. კომპანიონი ცხოველების რეგისტრაცია ხორციელდება ცხოველთა ერთიან რეესტრში კომპანიონი ცხოველის პატრონის/მიმკედლებლის განცხადების საფუძველზე და დასტურდება ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობით, რომელიც წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს.

2. ცხოველების იდენტიფიკაციის, რეგისტრაციისა და ერთიანი რეესტრის შექმნის მიზანია:

ა) ცხოველების რაოდენობის დადგენა, თვითოეულ მათგანზე ინფორმაციის მოძიება და აღრიცხვა, მათი მფლობელებისა და მათზე მზრუნველი პირების დადგენა/რეგისტრაცია;

ბ) ცხოველების დაავადებების გავრცელების პროფილაქტიკა;

გ) მეპატრონის მიერ ცხოველის მიტოვების პრევენცია;

დ) დაკარგული/ნაპოვნი ცხოველების მოძებნა, მათი იდენტიფიცირება და პატრონისთვის დაბრუნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ;

ე)უსახლკარო ცხოველების დაბინავება ახალი მეპატრონეების მოძიებით.

3. პირველადი სავალდებულო რეგისტრაციის წინ კომპანიონ ცხოველებს უნდა ჩაუტარდეთ ყოველწლიური სავალდებულო იმუნიზაცია.

4. კომპანიონი ცხოველების რეგისტრაცია სავალდებულოა 2 თვის ასაკიდან. კომპანიონი ცხოველის პატრონის შეცვლის შემთხვევაში ხელახალი რეგისტრაცია კომპანიონ ცხოველთა ერთიან რეესტრში უნდა მოხდეს ათი დღის ვადაში.

5. მიკროჩიპი წარმოადგენს სპეციალური ინფორმაციის მატარებელ იმპლანტანტს, რომელიც შეიცავს უნიკალურ კოდს, რომელზედაც განთავსებულია ინფორმაცია კომპანიონი ცხოველისა და მისი პატრონის შესახებ, ამავდროულად ინფორმაცია ასახულია ერთიან ბაზაში. მიკროჩიპის ხარისხი და მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

6. კომპანიონი ცხოველის გარდაცვალების ან მოკვდინების (ევთანაზიის) შემთხვევაში მფლობელმა აღნიშნულის შესახებ, ერთი დღის ვადაში უნდა აცნობოს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს, ცხოველის რეგისტრაციის მოხსნის მიზნით უნდა წარუდგინოს ვეტერინარის მიერ შედგენილი ცხოველის ევთანაზიის აქტი, რომელშიდაც გაწერილი იქნება ინფორმაცია ცხოველის ევთანაზიის საფუძველისა და აუცილებლობის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილი ორგანო და მარეგისტრირებელი ორგანო არის სხვადასხვა - მარეგისტრირებელმა ორგანომ უფლებამოსილი ორგანოსადმი წარდგენილ ინფორმაციას ცხოველის რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ თან უნდა დაურთოს ცხოველის ევთანაზიის ასლი.

7. ცხოველის დაკარგვის შემთხვევაში, კომპანიონი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია ერთი კვირის ვადაში შეატყობინოს უფლებამოსილ ორგანოს დაკარგვის ფაქტის შესახებ.

8. ცხოველთა ერთიანი რეესტრის მონაცემებით სარგებლობა უფასოა, ხოლო სარგებლობის უფლება გააჩნია ცხოველა თავშესაფრებს, ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებს და ვეტერინარულ დაწესებულებებს.

თავი VI

ცხოველთა ორთაბრძოლების აკრძალვა და სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოვალეობები

მუხლი 21. ცხოველთა ორთაბრძოლები

1. დაუშვებელია ცხოველთა ორთაბრძოლების ორგანიზება, ჩატარება და პროპაგანდა ცხოველების მონაწილეობით.

2. პირი ჩადის დანაშაულს, თუ ეს პირი:

ა) ცდილობს მოაწყოს ან აწყობს ცხოველთა ორთაბრძოლებს;

ბ) შეგნებულად იღებს ფულს ცხოველთა ორთაბრძოლაზე დაშვების მიზნით;

გ) ავრცელებს ინფორმაციას ცხოველთა ორთაბრძოლების გამართვის შესახებ;

დ) ცხოველით მონაწილეობს ცხოველთა ორთაბრძოლებში;

ე) წვრთნის და ამზადებს ცხოველებს ორთაბრძოლაში მონაწილეობისათვის;

ვ) იყენებს ან სხვას რთავს ნებას თავის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა გამოიყენოს ორთაბრძოლების მოსაწყობად;

ზ) შეგნებულად იღებს და ავრცელებს ცხოველთა ორთაბრძოლის ვიდეო და ფოტო გამოსახულებებს ან ინახავს მათ, შემდგომში მათი გავრცელების მიზნით;

მუხლი 22. სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობათა ვალდებულებები

1. საქართველოს მთავრობა და ადგილობრივი თვითმმართველობები კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ცხოველთა დაცვას.

2. საგანმანათლებლო სახელმწიფო ორგანოები ადრეული ასაკიდან უნდა უზრუნველყოფდნენ მოქალაქეთა მიერ ცხოველებზე დაკვირვების, მათი ქცევის გაგებისა და მათდამი ჰუმანურად მოპყრობის ცოდნისა და უნარ-ჩვევების დანერგვას;

3. ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები კომპეტენციის ფარგლებში:

ა) აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას და მოუწოდებენ მათ ცხოველებზე ზრუნვისკენ;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკონტროლებენ ცხოველთა მოვლის დადგენილ ნორმების დაცვას;

გ) ორგანიზებას უწევენ აქტივობებს, რომელთა მიზანია მუნიციპალიტეტის ფარგლებში უსახლკარო ცხოველების რიცხვის შემცირება, უსახლკარო და მიუსაფარ კომპანიონ ცხოველებზე ზრუნვა, უსახლკარო ცხოველების პატრონებთან დაბრუნება;

დ) უფლებამოსილნი არიან მოაწყონ კომპანიონ ცხოველთა გასასეირნებელი ადგილები, სასაფლაოები და კრემატორიუმები, იზრუნონ მათ გამოყენებაზე;

ე) ანხორციელებენ ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებთან, ვეტერინარულ დაწესებულებებთან, კინოლოგიურ დაწესებულებებთან, ფელინოლოგიურ დაწესებულებებთან და შესაბამის სფეროში მოქმედ სხვადასხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან ურთიერთთანამშრომლობას

ვ) ხელს უწყობენ მოსწავლე-ახალგაზრდობის ჰუმანური და ეკოლოგიური ცნობიერების დამკვიდრებას ცხოველებთან მიმართებაში;

ზ) ასრულებენ ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

თავი VII

პასუხისმგებლობა

მუხლი 23. პასუხიმგებლობის საფუძვლები

1. პირის პასუხისმგებლობა ცხოველთა დაცვისა და კეთილდეობისათვის ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის განისაზღვრება ამ თავით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსითა და სისხლის სამართლის კოდექსით.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით.

3. უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომელს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს აქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.

თავი VIII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 24. გარდამავალი დებულებანი

1. 2018 წლის 1-ელ ნოემბრამდე ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებმა განსაზღვრონ შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას.

2. 2018 წლის 1-ელ ნოემბრამდე ადგილობრივი თვითმმართველობისს ორგანომ უზრუნველყოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება, უფლებამოსილი სამსახურის გამართული ფუნქციონირებისათვის.

3. 2018 წლის 1-ელ ნოემბრამდე უფლებამოსილმა ორგანომ შეიმუშაოს კომპანიონი ცხოველების სარეგისტრაციო მოწმობის ფორმა, რეგისტრაციის, მიკროჩიპზე დასატანი ინფორმაციის, საკონტროლო რეგისტრირებისა და კომპანიონ ცხოველთა ერთიან რეესტრში შეყვანის წესი.

4. 2018 წლის 1-ელ ნოემბრამდე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებმა სადაც მოქმედებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის წესი გააუქმონ აღნიშნული წესი და მიიღონ ახალი წესი რომელიც დაარეგულირებს იმ საკითხებს, რაც არ რეგულირდება ამ კანონით.

5. 2018 წლის 1-ელ ნოემბრამდე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგნაოებმა სადაც არ მოქმედებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის წესი მიიღონ ახალი წესი რომელიც დაარეგულირებს იმ საკთხებს, რაც არ რეგულირდება ამ კანონით.

მუხლი 25. ძალაში შესვლა

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1-ლი ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი